



კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

მედიცინის ფაკულტეტი

მედიცინის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო
პროგრამა

090101

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე

ოქმი N44

აკადემიური საბჭოს დადგენილება # 54

13 ივლისი, 2018 წელი

რექტორი

კ.კორძაია

მედიცინის ინგლისურენოვანი პროგრამა

ფართო სფერო

ჯანდაცვა, სოციალური კეთილდღეობა

5. ვიწრო სფერო

ჯანდაცვა

6. დეტალური სფერო

მედიცინა

7. პროგრამის მოცულობა კრედიტებით

360 კრედიტი

8. სწავლის ხანგრძლივობა

6 წელი, 12 სემესტრი

9. სწავლების ფორმა

დასწრებული

10. სწავლების ენა

ინგლისური

11. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

დიპლომირებული მედიკოსი

Medical Doctor (MD)

12. პროგრამის ხელმძღვანელი

თამარ გიორგობიანი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

სფეროს ზოგადი დახასიათება

მედიცინა ჯანდაცვის მიმართულების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სპეციალობაა, რომელიც

ეხება არა მხოლოდ ადამიანის ჯანმრთელობას, არამედ მის სიცოცხლეს. „საექიმო საქმიანობის

შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საექიმო საქმიანობა განიმარტება, როგორც „მედიცინაში განსწავლული, სათანადო უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე

პირის პროფესიული საქმიანობა, რომლის მიზანია ქვეყანაში აღიარებული სამედიცინო სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების გამოყენებით, აგრეთვე საექიმო ტრადიციების გათვალისწინებით, ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა, შენარჩუნება და აღდგენა, მისთვის ტანჯვის

შემსუბუქება“. („საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი).

სამედიცინო განათლება მომავალში წარმატებული სამედიცინო პრაქტიკის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ქვეყანაში მიმდინარე რეფორმები, ინტერნაციონალიზაცია და ინტეგრირებული

სწავლების მოთხოვნები დღის წესრიგში აყენებს სამედიცინო განათლების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის საჭიროებას.

წინამდებარე მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამა ხელს შეუწყობს ქვეყანაში მიღებული სამედიცინო განათლების საერთაშორისო აღიარებას და კურსდამთავრებულების დასაქმებას, ასევე უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების მიწოდებას ქვეყანაში.

39 პროგრამა ეფუძნება სამედიცინო განათლების დარგობრივ სტანდარტს, რომელიც მსოფლიო ფედერაციის (WFME) სტანდარტებთანაა შესაბამისობაში. საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული საბაზისო სამედიცინო განათლების ხარისხისა და წარმატებული სამედიცინო პრაქტიკის შესაბამისობა უზრუნველყოფს ნებისმიერი ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის ოპტიმალურ ფუნქციონირებას.

პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური ექიმები, რომლებიც კონკურენტუნარიანნი იქნებიან როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებია სტუდენტს შეასწავლოს და გააცნობიერებინოს:

1. საბაზისო ბიოსამედიცინო მეცნიერებები;
2. ქცევითი და სოციალური მეცნიერებები;
3. საზოგადოებრივი ჯანმრთელობა;
4. სამედიცინო ეთიკა, ადამიანის უფლებები და სამედიცინო პრაქტიკასთან დაკავშირებული კანონმდებლობა;
5. კლინიკური მეცნიერებები, მათ შორის დიაგნოსტიკურ პროცედურებთან დაკავშირებული კლინიკური უნარ-ჩვევები, პრაქტიკული პროცედურები და კომუნიკაცია;
6. დაავადებების მკურნალობა და პრევენცია, ჯანმრთელობის ხელშეწყობა, რეაბილიტაცია;
7. კლინიკური აზროვნება და პრობლემის გადაჭრა;
8. სწავლის უწყვეტი გაგრძელების შესაძლებლობა;
9. პროფესიონალიზმის დემონსტრირება, რომელიც აუცილებელია პრაქტიკოსი ექიმისთვის;

პროგრამის სტრუქტურა კრედიტებში:

მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამა –360კრედიტი

მედიცინის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტის მომზადებაზე შესაბამისი პროფესიისათვის. ის არის ნაწილობრივ ინტეგრირებული და მოიცავს 360 კრედიტს.

პროგრამის სტრუქტურა კრედიტებში:

სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები/მოდულები - 328 კრედიტი მათ შორის:

- საბაზისო სავალდებულო სასწავლო კურსები - 126 კრედიტი;
- კლინიკური სავალდებულო სასწავლო კურსები - 169 კრედიტი.
- სამეცნიერო კვლევის უნარების სავალდებულო სასწავლო კურსები - 12 კრედიტი;

- კლინიკური უნარ-ჩვევების სავალდებულო სასწავლო კურსები (მათ შორის მოდულში) - 21 კრედიტი.
- სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები - 18 კრედიტი;
- ზოგადი სავალდებულო სასწავლო კურსები- 9 კრედიტი;
- ზოგადი არჩევითი სასწავლო კურსები - 5 კრედიტი.

სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების/ მოდულების მიზანი

სწავლების პრეკლინიკურ ეტაპზე პროგრამით გათვალისწინებული მედიცინის სპეციალობის სავალდებულო საგნები/მოდულები წარმოადგენს კლინიკური მედიცინის საფუძველს. აღნიშნული საგნებისა და მოდულების სიღრმისეული გააზრების გარეშე შეუძლებელია კლინიკური ცოდნის მიღება და შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება.

კლინიკური სწავლების ეტაპზე სავალდებულო სასწავლო კურსების მიზანია შესძინოს სტუდენტს კლინიკური მეცნიერებების სიღრმისეული ცოდნა და გააცნობიერებინოს ექიმის როლი საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემაში; კურსები დაეხმარება სტუდენტს კლინიკური პრობლემების გადაჭრის პრაქტიკული გზების მოძიებაში, შესძენს თეორიულ ცოდნას მედიცინის ისეთ სფეროებში, როგორცაა შინაგანი მედიცინა, ქირურგია, პედიატრია, მეანობა გინეკოლოგია, ფსიქიატრია და ა.შ. დაგამოუმუშავებს ექიმისთვის აუცილებელ პრაქტიკულ უნარებს. კლინიკური სასწავლო კურსების შესწავლა განუვითარებს სტუდენტს უნარებს ისეთ სფეროებში, როგორცაა: პაციენტთან ან პაციენტზე პასუხისმგებელ პირთან კომუნიკაცია, სრული ფიზიკური გასინჯვა, შესაბამისი გამოკვლევების დაგეგმვა, ინსტრუმენტული და ლაბორატორიული ანალიზების პასუხების ინტერპრეტაცია, პათოლოგიების დიფერენცია, დიაგნოზის დასმა და პაციენტის მკურნალობა მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინის პრინციპების საფუძველზე.

იმისათვის, რომ გაძლიერდეს პრაქტიკული კომპონენტი, საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს კლინიკურ უნარებში პრაქტიკულ მეცადინეობებს კლინიკური უნარების ცენტრში. ამ მიზნით, ცენტრი აღჭურვილია სხვადასხვა სახის სიმულატორებით, რაც შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს ივარჯიშოს და გამოიმუშაოს პრაქტიკოსი ექიმისთვის აუცილებელი პრაქტიკული და უნარები, ამას გარდა, სავალდებულო კლინიკური უნარების სასწავლო კურსები სტუდენტს შესძენს პაციენტთან ეფექტური კომუნიკაციისთვის აუცილებელ უნარებს. კლინიკური უნარების კურსიტარდება პაციენტის მოვლის და საექთნო საქმიანობის, პირველადი გადაუდებელი დახმარების, შინაგანი მედიცინის, პედიატრიის, მეანობა-გინეკოლოგიის და კლინიკური უნარების შემაჯამებელი კურსის სახით. ყველა ეს კურსი ჰორიზონტალურად ინტეგრირებულია შესაბამის საბაზისო და კლინიკურ საგანთან.

სამეცნიერო უნარების სავალდებულო სასწავლო კურსების მიზანი

სწავლის პირველივე სემესტრებში სამეცნიერო უნარ-ჩვევების დაუფლება სტუდენტს განუვითარებს სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიების, მონაცემების ანალიზის, კრიტიკული აზროვნებისა და დამოუკიდებლად დასკვნის გაკეთების უნარს. სამეცნიერო

კვლევის მეთოდების შესწავლა (ექსპერიმენტული, სტატისტიკური და ა.შ.) და სტატისტიკის უნარები დაეხმარება სტუდენტს სამეცნიერო სფეროში მუშაობისას (პროექტში მონაწილეობა), ასევე სწავლის დასრულების შემდეგ ლექციების წაკითხვისას. სტუდენტი შეძლებს ინფორმაციის მოძიებას და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ცოდნის გამოყენებას პროფესიული მუშაობისას. კვლევის ეთიკის ცოდნა დაეხმარება სტუდენტს საავტორო უფლებების, პლაგიატის, სამეცნიერო ექსპერიმენტის ობიექტის შერჩევის, სფეროს სამართლებრივი ასპექტების ძირითადი პრინციპების გაცნობიერებაში.

სამეცნიერო უნარ-ჩვევების სასწავლო კურსები ჯამში 12 კრედიტია. სასწავლო კურსები: სამეცნიერო კვლევის საფუძვლები, სამეცნიერო კვლევის უნარები, სამეცნიერო ნაშრომის დაწერა, მნიშვნელოვნად განაპირობებს მომავალი სპეციალისტის მაღალი აკადემიური დონის ჩამოყალიბებას, ლიტერატურასთან და საინფორმაციო ბაზებთან ურთიერთობის და მეცნიერული მიმართულებით მუშაობის უნარის გამომუშავებას.

სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების მიზანი

სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების მიზანია გაამდიდროს სტუდენტის ცოდნა მის მიერ არჩეულ საგანში, რაც ხელს შეუწყობს მის პროფესიულ განვითარებას შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილების, თუ შემდგომი სწავლის თვალსაზრისით. სპეციალობის არჩევითი კურსების შერჩევა ხდება ზოგად სამედიცინო განათლებაში მათი მნიშვნელობის გათვალისწინებით და ასეთი კურსების არჩევა შესაძლებელია განათლების პრეკლინიკურ და კლინიკურ ეტაპებზე. არჩევითი კურსები შეთავაზებულია სხვადასხვა დონეზე და ლოგიკურადაა დაკავშირებული სავალდებულო სასწავლო კურსებთან.

ზოგადი სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების მიზანია

დაეხმაროს სტუდენტს ზოგადი ცოდნის გაღრმავებაში, შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის და შემდგომი სწავლისთვის აუცილებელი კომპეტენციების განვითარებაში. მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი შეიძენს სხვადასხვა მეცნიერების საფუძვლების ცოდნას.

მედიცინის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსების შესწავლით ერკვევა მთელი რიგი მეცნიერებების საფუძვლებში (ფილოსოფიის საფუძვლები, მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია, კულტუროლოგია, კულტურული ანთროპოლოგია და სხვა) და იღებს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების იმ ზოგად ტრანსფერულ უნარებს, რომლებსაც წარმატებით გამოიყენებს საკუთარი სპეციალობის ათვისების პროცესში. აღნიშნული სასწავლო კურსების შესწავლა უდაოდ მნიშვნელოვანია სტუდენტის თვითგანვითარებისთვის და კომპეტენციების ფართო სპექტრის ჩამოყალიბებისთვის.

საბოლოო ჯამში, მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები ხელს უწყობენ პროგრამით განსაზღვრული მიზნების მიღწევასა და ექიმის კომპეტენციების განვითარებას.

სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები და სწავლების თანმიმდევრობა განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში.

სტუდენტი ირჩევს მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებს შესაბამისი სემესტრის დასაწყისში, რაშიც მას სასწავლო პროცესის მართვის სისტემა დაეხმარება. უნივერსიტეტის ყველა სტუდენტი ავტორიზებულია ამ პროგრამაში (გააჩნია საკუთარი პაროლი) და შეუძლია სემესტრის დაწყებამდე გაეცნოს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სავალდებულო და არჩევითი საგნების ჩამონათვალს, გააკეთოს მისთვის სასურველი არჩევანი.

სტუდენტს შეუძლია თავისი არჩევანი ელექტრონულად დააფიქსიროს. სემესტრის დასაწყისში, სტუდენტის მიერ ავტორიზაციის გავლისთანავე მას საკუთარ ელექტრონულ დაფაზე დახვდება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მიმდინარე სემესტრის შესაბამისი სავალდებულო დისციპლინები, ხოლო არჩევითი სასწავლო კურსები შეეთავაზება ჩამონათვალის სახით, რომლიდანაც ის გააკეთებს არჩევანს დაშვებული მაქსიმალური კრედიტების ფარგლებში.

საგნის ასარჩევად დაბრკოლება შეიძლება გახდეს მისი შესწავლის წინაპირობა და მსმენელთა რაოდენობის შეზღუდვა, ან ამ საგანზე დარეგისტრირებულ სტუდენტთა სიმცირე (ადამიანური და მატერიალური რესურსების ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე).

მედიცინის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები მიმართულია პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევისა და სწავლის შედეგად დიპლომირებული მედიკოსის კომპეტენციების ჩამოყალიბებისკენ. მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების ლოგიკური თანმიმდევრობა განსაზღვრავს პროგრამის შინაარსს, სტრუქტურას და სასწავლო გეგმას.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები (სწავლების მეთოდოლოგია)

საგანმანათლებლო პროგრამით სწავლების მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას უზრუნველყოფს თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობათა ინტეგრირება.

თეორიულ მეცადინეობათა დანიშნულებაა – სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი თემების თეორიულ ჭრილში განხილვა და სტუდენტის უზრუნველყოფა სავალდებულო ლიტერატურითა და ინფორმაციით შესასწავლი დისციპლინის მეთოდოლოგიური საფუძვლების შესახებ.

პრაქტიკულ მეცადინეობათა დანიშნულებაა – სტუდენტის მიერ შეძენილი თეორიული ცოდნის გაღრმავება-განმტკიცება; შესასწავლი საკითხის არსისა და მნიშვნელობის სათანადო გააზრება, პრაქტიკაში მისი გამოყენების შესაძლებლობათა გამოკვეთა; საგნობრივ სფეროში იგადაწყვეტილებათა მომზადება-მიღების პროცესებზე ზემოქმედი ფაქტორების ანალიზისა და ობიექტურად შეფასების, აგრეთვე პრაქტიკული საქმიანობისა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავება.

სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლების აქტიური მეთოდების გამოყენებას.

ლექციებზე ძირითადად გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები:

- **ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი**– ლექციისა და სემინარის ზეპირი გადაცემა, პრეზენტაცია;
- **დისკუსია/დებატები** - სტუდენტების კამათში გამოწვევა, ინტერაქტიული ლექციის დროს საკუთარი აზრის დაფიქსირება;
- **ბრენსთორმინგი** - გულისხმობს სტუდენტთა გონებრივი შესაძლებლობების რეალიზაციის სტიმულირებას, რომლის დროსაც ერთი საკითხის ირგვლივ

ხდება სტუდენტთა სხვადასხვა იდეების გენერირება და მათი კლასიფიკაცია პრიორიტეტულობის მიხედვით;

- **დემონსტრირების მეთოდი.**

პრაქტიკულ მეცადინეობებზე სტუდენტის მიერ შექმნილი ცოდნის განმტკიცებასა და პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევათა გამომუშავებას მნიშვნელოვნად უწყობს სწავლების შემდეგი მეთოდები:

- **შემთხვევის ანალიზი, ან კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული (CBL) სწავლების მეთოდი**, რომელიც აღწერს კონკრეტულ სიტუაციებს, კლინიკურ შემთხვევებს, პრობლემებს, საჭიროებს განსჯას და ხელს უწყობს სტუდენტებში ლოგიკური აზროვნების განვითარებას;
- **ჯგუფში დისკუსია/დებატები**- პრაქტიკული მეცადინეობების დროს სტუდენტების კამათში გამოწვევა, საკუთარი აზრის დაფიქსირება;
- **წიგნზე მუშაობის მეთოდი;**
- **წერითი მუშაობის მეთოდი**, რომელიც გულისხმობს: ტესტურ მუშაობას, ქვიზების, სავარჯიშოებისა და ამოცანების ამოხსნას, ძირითადი და დამატებითი სასწავლო ლიტერატურიდან კონსპექტების, თეზისებისა და რეფერატების მომზადებას;
- **გუნდური მუშაობა**, რაც ითვალისწინებს აკადემიურ ჯგუფებში 5-6 კაციანი გუნდების ჩამოყალიბებას, გუნდების მიერ სემინარებისა და დროში გაწერილი სასწავლო-შემოქმედებითი პროექტების ერთობლივ წარმოდგენას, გუნდებს შორის ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას; პაციენტის საწოლთან სწავლებას, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობის ჩატარებას, კონსულტაციების მიცემას და დამოუკიდებელ მუშაობას.
- **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - ეს მეთოდი სასწავლო პროცესს აკავშირებს გადაწყვეტილებების მიღების და პრობლემების გადაჭრის უნარების გამომუშავებასთან, რაც ესოდენ საჭიროა როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ მედიცინაში. ხელმძღვანელთან მუშაობის პროცესში სტუდენტები განიხილავენ კლინიკურ შემთხვევებს, აყალიბებენ შესაძლებელ პრობლემებს, მსჯელობენ სავარაუდო დიაგნოზზე, დიაგნოსტიკურ მეთოდებზე, სწავლობენ მკურნალობის გეგმას, ისმენენ სხვათა მოსაზრებებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. ამ მეთოდის გამოყენების შედეგად სტუდენტებს უჩნდებათ მოტივაცია უფრო ღრმად ჩასწვდნენ პრობლემის არსს, მოიძინო და შეისწავლონ სხვადასხვა ლიტერატურა დამოუკიდებლად იმისათვის, რომ მიიღონ დასაბუთებული გადაწყვეტილება და დაიცვან ასეთი გადაწყვეტილება, დააკავშირონ საბაზისო საგნების თეორიული ცოდნა კლინიკურ საგნებთან, განივითარონ გუნდური მუშაობის უნარები, რაც არსებითია კლინიკური პრაქტიკისთვის.
- **ინოვაციური ინფორმაციის/მასალის მოძიების მეთოდი;**
- **სამეცნიერო კვლევით პროექტებში მონაწილეობა.**

სწავლა, სწავლება და შეფასება

სწავლების აუცილებელი პირობაა თეორიული და პრაქტიკული სწავლების ინტეგრაცია, კლინიკური უნარ-ჩვევების განვითარება ვირტუალური სიმულაციის ცენტრში და კლინიკურ გარემოში(როგორც უმცროს კურსელებისთვის, ასევე უფროსკურსელთათვის). სწავლებისას უპირატესობა ენიჭება ახალ ტექნოლოგიებს.

სწავლება ხორციელდება შემდეგი მეთოდებით:

დისკუსია/დებატები, ჯგუფში მუშაობა, შემთხვევის ანალიზი, დემონსტრირების მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი.

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას კურსდამთავრებულებმა უნდა შეძლონ სწავლის პროცესში გამოიმუშავებული კლინიკური უნარ-ჩვევების დემონსტრირება დამოუკიდებლად, სიმულატორებზე ან ზედამხედველობის ქვეშ პაციენტთან.

სწავლების პროცესში მეტად მნიშვნელოვანია სწავლების შემდეგი ფორმების გამოყენება:

- ინტერაქტიური ლექციები, სემინარები;
- შუალედური გამოცდები;
- ავადმყოფის საწოლთან სწავლება (bedside teaching);
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)
- კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება (CBL)
- ტრენინგი სიმულატორებსა და მულაჟებზე;
- პაციენტისა და ექიმის როლური თამაში;
- ლაბორატორიული სწავლება;
- პრეზენტაციები;
- როტაციები კლინიკურ ბაზებში.

კლინიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამედიცინო განათლებაში. ამ თვალსაზრისით, სწავლებისას გამოიყენება ისეთი სიმულატორები, რომლებიც მაქსიმალურად ასახავენ რეალურ დაავადებას, დიაგნოსტიკურ ან სამკურნალო პროცედურას.

სწავლების აუცილებელი მოთხოვნაა სტუდენტისათვის კვლევითი უნარების გამოიმუშავება. მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტები სწავლობენ არა მხოლოდ სამეცნიერო ინფორმაციის კრიტიკულად შეფასებას, არამედ კვლევის ორგანიზაციის, წარმართვის, ანალიზის, შედეგების წარმოდგენის ძირითად პრინციპებს. სტუდენტები ესწრებიან და მონაწილეობენ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციებში.

ცოდნისა და უნარების შეფასებისას გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე ტესტურიგამოცდები, ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა (OSPE), ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკურიგამოცდა (OSCE), სტანდარტიზებული პაციენტის და/ან სიმულატორების გამოყენებით, პრეზენტაციები, რეფერატი/თეზისი.

შუალედური გამოცდა ყოველ საგანში ტარდება სემესტრში ერთხელ და თითოეული ფასდება 20 ქულით.

კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია შუალედური შეფასების ელემენტის კომპონენტების ზუსტი განსაზღვრა. კომპონენტების შინაარსს და ხვედრით წონას განსაზღვრავს კურსის წამყვანი ლექტორი.

შუალედურ შეფასებებში სტუდენტმა შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 60 ქულა.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლების მოსაპოვებლად სტუდენტმა სემესტრის განმავლობაში შუალედური შეფასებით უნდა დააგროვოს მინიმუმ 25 ქულა.

დასკვნითი გამოცდა სავალდებულოა და მისი ხვედრითი წილი შეფასების სისტემაში შეადგენს 40 ქულას.

დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება სტუდენტის მიერ მინიმუმ 20 ქულის მოპოვების შემთხვევაში.

სტუდენტს სასწავლო კურსში კრედიტი მიენიჭება თუ შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შედეგების ჯამით დააგროვებს მინიმუმ 51 ქულას.

ცოდნის შეფასების ფორმები და კრიტერიუმები:

1. ლექციებსა და სამუშაო ჯგუფში მუშაობა (სემინარებსა და პრაქტიკულ - ლაბორატორიულ მეცადინეობებზე აქტიურობა) – მაქსიმალური 30–40 ქულა;
2. წინასწარ არჩეული თემის პრეზენტაცია, რეფერატის მომზადება და დაცვა – მაქსიმალური 10 ქულა;
3. შუალედური გამოცდა – მაქსიმალური 20 ქულა;
4. დასკვნითი გამოცდა – მაქსიმალური 40 ქულა;
5. საბოლოო შეფასება – მაქსიმალური 100 ქულა.

მოდულის შეფასება:

მოდულში შემავალ თითოეულ საწავლო კურსში სტუდენტი იღებს შუალედურ შეფასებას, რომლის კონპონენტები განსხვავდება სხვადასხვა კურსისთვის და ისინი დეტალურად არის აღწერილი სილაბუსებში.

სტუდენტმა უნდა მოაგროვოს მინიმუმ 25 ქულა 60 -დან თითოეულ კურსში, რომ იგი დაშვებული იქნას მოდულის ინტეგრირებულ დასკვნით გამოცდაზე.

თუ სტუდენტმა დააგროვა 25 ქულაზე ნაკლები რომელიმე სასწავლო კურსში, იგი დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება, ამ შემთხვევაში მან განმეორებით უნდა გაიაროს მხოლოდ ეს სასწავლო კურსი.

მოდულის ინტეგრირებული შუალედური შეფასება გამოითვლება სასწავლო კურსის კრედიტის პროპორციის მიხედვით მოდულის საერთო კრედიტთან.

განსაკუთრებით აღნიშნავს საჭიროებს პროგრამის ერთ-ერთი შედეგი-პროფესიონალიზმი.

პროფესიონალიზმი ერთ- ერთი ძირითადი კომპეტენციაა მედიცინის პროგრამის სტუდენტებისთვის. საუკეთესო პრაქტიკა, თუ როგორ ვასწავლოთ პროფესიონალიზმი, სამედიცინო განათლების ერთ- ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია.

პროფესიონალიზმის ელემენტების შეძენას სტუდენტი იწყებს სწავლების პირველივე წლიდან, ეს პროცესი გრძელდება მეექვსე კურსის ჩათვლით.

პროფესიონალიზმი ფასდება სწავლების სხვადასხვა ეტაპზე, გამოიყენება განსხვავებული კითხვარები, OSCE, 360 გრადუსიანი შეფასება, ე.წ. „განსაკუთრებული შემთხვევის“ შესახებ რეპორტი, პორტფოლიო.

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი / კვალიფიკაცია

მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულისთვის კვალიფიკაციის მინიჭება

ხდება „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბერის №120/ნ ბრძანების შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებს ენიჭებათ დიპლომირებული მედიკოსის

კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი და ეძლევათ შესაბამისი პროგრამის გავლის დამადასტურებელი სახელმწიფო ნიმუშის დიპლომი, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის

დანართთან ერთად.

კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 365 ECTS კრედიტის დაგროვება.

დასაქმების სფერო

ერთსაფეხურიანი უმაღლესი სამედიცინო განათლების კურსდამთავრებულს (დიპლომირებულ

მედიკოსს), დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება აქვს მხოლოდ „საექიმო საქმიანობის

შესახებ“ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად - „დამოუკიდებელი საექიმო

საქმიანობის უფლება აქვს საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე

პირს, რომელმაც დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო აკრედიტაციის მქონე უმაღლესი სამედიცინო სასწავლებელი და ამ კანონით დადგენილი წესით მიიღო დამოუკიდებელი საექიმო

საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერთიფიკატი“ (კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“, მე-7 მუხლი).

დიპლომირებული მედიკოსის დასაქმების სფეროებია:

44

• საექიმო საქმიანობა უმცროს ექიმად. უმცროსი ექიმი ასრულებს ექიმის ფუნქციას დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების მქონე სუბიექტის მითითებითა და პასუხისმგებლობით (კანონი `საექიმო საქმიანობის შესახებ`, მე-5 მუხლი);

• პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობა.

მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი

• მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური კადრებით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება სათანადო სამეცნიერო და პრაქტიკული გამოცდილებისა

და კომპეტენციების მქონე, უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი.